

(სსმ 07.08.2006 N 104 მუხ. 1415)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
340.010.000.22.032.009.056

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-153

2006 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

ინსპექტირების განხორციელების წესებისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ

“სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული ინსპექტირების განხორციელების წესები და პროცედურები, დანართთან ერთად.

2. დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (შ. ლორთქიფანიძე) უმრუნველყოს “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ბრძანების ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში გატარება და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნება.

3. დაევალოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს (ლ. ორკოშნელი) 2006 წლის 1 სექტემბრამდე დასამტკიცებლად წარმოადგინოს “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შემუშავებული წლიური პროგრამა იმ სურსათის მწარმოებელი საწარმოების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიზნით, რომელთაც დადგენილი წესით რეგისტრაცია გაიარეს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში და უმრუნველყოს წლიური პროგრამის მონაცემთა განახლება რეგისტრირებულ საწარმოთა რიცხვის ზრდასთან ერთად.

4. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს მინისტრის პირველმა მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სვიმონიშვილი

ინსპექტირების განხორციელების წესები და პროცედურები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. “ინსპექტირების განხორციელების წესები და პროცედურები” შემუშავებულია “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე და განსაზღვრავს სურსათის უვნებლობის

სახელმწიფო კონტროლის მიზნით ინსპექტირების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ინსპექტირება ხორციელდება რისკის შეფასების საფუძველზე განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად ან იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ ბაზარზე განთავსებული სურსათი არ შეესაბამება “სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ” საქართველოს კანონისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილ უვნებლობის მოთხოვნებს.

3. ინსპექტირება შეიძლება განხორციელდეს როგორც გეგმიურად, წლიური პროგრამის შესაბამისად, ასევე არაგეგმიურად.

4. არაგეგმიური ინსპექტირება ხორციელდება წინასწარი გაფრთხილების გარეშე, დასაბუთებული ეჭვის შემთხვევაში, თუ სახეზეა ლაბორატორიული გამოცდის შესაბამისი შედეგი და კანონის საფუძველზე გამოცემული მოსამართლის ბრძანება.

მუხლი 2. ინსპექტირება

1. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ინსპექტირებას ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურები (შემდგომში – სამსახური), ასევე მათი შესაბამისი საქალაქო ან რაიონული სამმართველოს უფლებამოსილი მოხელე მისთვის შესაბამისი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

2. სამსახურის უფლებამოსილი მოხელე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიზნით ამოწმებს:

ა) სურსათის/ცხოველის საკვების წარმოების ადგილის, საწარმოს, ოფისების, საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის, საგრანსპორტო საშუალებების, ტექნიკისა და აღჭურვილობის მდგომარეობასა და გამოყენების პირობებს;

ბ) ნედლეულს, ინგრედიენტებს, ნახევარფაბრიკატებს, ტექნოლოგიურ საშუალებებსა და სხვა პროდუქტებს, რომლებიც გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების დასამზადებლად და საწარმოებლად; საბოლოო სასურსათო პროდუქტს/ცხოველის საკვებს, მასალებსა და საგნებს, რომლებიც კონტაქტში შედიან სურსათთან/ცხოველის საკვებთან;

გ) სარეცხ და სადემინფექციო საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებლები თავიანთი ბიზნესის წარმოებისას;

დ) ეგიკეტირებას, რომელიც ხორციელდება მზა პროდუქციის ეგიკეტზე განთავსებული ინფორმაციის ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენით;

3. ინსპექტირებისას უფლებამოსილი მოხელე “ნიმუშის აღების წესის” შესაბამისად იღებს და დასახელებულ საგამოცდო ლაბორატორიას გადასცემს სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშს.

4. ლაბორატორიისთვის ნიმუშის გადაცემა შეიძლება არ მოხდეს, როდესაც სურსათის/ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკური შეფასებისას დადგენილი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით გამოვლინდება ამ სურსათის/ცხოველის საკვების გაუფუჭების აშკარა ნიშნები (მძაფრი და არასასიამოვნო სუნი, კონსისტენციისა და ფერის შეცვლა, ობით ღრმა და მნიშვნელოვანი დაზიანება და სხვა) და სურსათი/ცხოველის საკვები ადამიანისათვის/ცხოველისათვის საკვებად მიჩნეული

იქნება უვარგისად, სამსახურის უფლებამოსილი მოხელის მიერ. აღნიშნულ შემთხვევაში ფორმდება სურსათის/ცხოველის საკვების ორგანოლეპტიკური შეფასების აქტი ("ნიმუშის აღების წესის" დანართი N3), ამ სურსათის/ცხოველის საკვების აღადიანთა და ცხოველთა საკვებად უვარგისობის მიზმების დასაბუთებით. თუ სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი აქტს ეთანხმება, იგი ამას აქტზე ხელმოწერით ადასტურებს. სურსათის/ცხოველის საკვების აღგილზე დათვალერებისა და ორგანოლეპტიკური შეფასების საფუძველზე მისი აღადიანთა/ცხოველთა საკვებად უვარგისად მიჩნევის შემთხვევაში, თუ დათვალერებამ და ორგანოლეპტიკურმა შეფასებამ გამოიწვია სამსახურის უფლებამოსილი მოხელისა და სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორის ამრთა სხვადასხვაობა და აღნიშნულს მოითხოვს სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი, სურსათის/ცხოველის საკვების ნიმუშს შეიძლება ჩაუტარდეს ლაბორატორიული გამოკვლევა. ასეთ შემთხვევაში ლაბორატორიული გამოცდის ხარჯებს გაიღებს აღნიშნული სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი.

5. სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი/დისტრიბუტორი ვალდებულია ხელი შეუწყოს უფლებამოსილ მოხელეს ინსპექტირების განხორციელებაში და აღმოუჩინოს მას შესაბამისი დახმარება.

6. ინსპექტირებისას უფლებამოსილი მოხელე ადგენს აქტს (დანართი 1), სამ ეგზემპლარად, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ა) შემოწმების დაწყებისა და დამთავრების თარიღი;
- ბ) შემოწმების საფუძველი;
- გ) უფლებამოსილი მოხელის გვარი, სახელი და თანამდებობა;
- დ) ობიექტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართები, ხელმძღვანელის რეკვიზიტები;
- ე) შემოწმების შედეგები.

7. აქტის ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მწარმოებელს ან მის წარმომადგენელს, რის შესახებაც კეთდება შესაბამისი აღნიშვნა აქტის იმ ეგზემპლარზე, რომელიც ინახება სამსახურში.

მუხლი 3. ინსპექტირების პერიოდულობა

1. ინსპექტირება ხორციელდება იმ რეგისტრირებულ სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელ საწარმოებში, რომელთაც დადგენილი წესით რეგისტრაცია გაიარეს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურში და რომელთა ინსპექტირება გათვალისწინებულია "სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის საფუძველზე შემუშავებული და დამტკიცებული წლიური პროგრამის შესაბამისად.

2. სამსახურის მიერ სურსათის სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება წლიური პროგრამის (გეგმის) შესაბამისად, რომელიც მტკიცდება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და მოიცავს:

- ა) პროგრამის შემუშავების კრიტერიუმებს;
- ბ) განსახორციელებელი შემოწმებების რაოდენობასა და ტიპს.

3. სამსახურის უფლებამოსილი მოხელე ვალდებულია მოამზადოს დეტალური ანგარიში ყოველი ჩატარებული ინსპექტირების შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს ინსპექტირების მიზნებს, ინსპექტირებული საკითხების დეტალებსა და ინსპექტირების შედეგებს, ასევე ლაბორატორიული გამოცდის შედეგებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ინსპექტირება სამსახურმა შეიძლება განახორციელოს მხოლოდ კომპლექსურად სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კუთხით, დაუშვებელია შემოადინიშნული სფეროების მიხედვით სპეციალიზირებული ინსპექტირების ჩატარება.

მუხლი 4. წლიური ანგარიში

1. სამსახური საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველწლიურად წარუდგენს სურსათის/ცხოველის საკვების სახელმწიფო კონტროლის შედეგების წლიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს:

ა) განხორციელებული ინსპექტირების რაოდენობას, ტიპსა და მათ თანაფარდობას დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში;

ბ) გამოვლენილი დარღვევების რაოდენობასა და ტიპს;

გ) აღმოჩენილი დარღვევების საპასუხოდ გატარებულ ზომებს.

2. სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის კონტროლის წლიურ ანგარიშებს ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებანი

ინსპექტირების განხორციელების წესებში და პროცედურებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი 1

ინსპექტირების განხორციელების
აქტი N

“_____” _____ წ.

სურსათის/ცხოველის საკვების დასახელება

ინსპექტირების ადგილი

საფუძველი: _____

გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი

მონაწილე პირები _____
გვარი, სახელი, თანამდებობა

სურსათის მწარმოებელი -----

სახელი, გვარი, თანამდებობა, მისამართი, ტელეფონი

სხვა დამსწრენი _____

ინსპექტირება დაიწყო _____ ინსპექტირება დამთავრდა _____
თვე, რიცხვი, საათი თვე, რიცხვი, საათი

ინსპექტირების შინაარსი და ფარგლები:-----

შენიშვნა: _____

აქტის შედგენის ადგილი, თარიღი და დრო

აქტი შედგენილია 3 ეგზემპლარად

ხელმოწერები:

გვარი, სახელი, თანამდებობა

- | | |
|----------|-------|
| 1. _____ | _____ |
| 2. _____ | _____ |
| 3. _____ | _____ |
| 4. _____ | _____ |
| 5. _____ | _____ |

დამსწრე: